# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 20

(გამარტივებული შესყიდვების შესახებ)

ჭიათურა 06 აპრილი 2015 წ.

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ სსიპ „ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი" (ს/კ:215593043), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა წერეთლის სახით, შემდგომში „შემსყიდველი", მისამართი: ქ. ჭიათურა, ჭავჭავაძის ქ. №15 და მეორეს მხრივ შპს "შოუ ტექნიკის ცენტრი" (ს/კ:205073212), წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის ზაზა გაბელაიას სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №27ბ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია: სასცენო პროჟექტორის ნათურების (სასცენო განათების ნათურები, ელექტროვარვარა ნათურები) მიწოდება, შეძენა. კლასიფიკატორის კოდი: CPV-31500000

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 395.00 (სამას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარს (მითითებული თანხის ფარგლებში "შემსყიდველის" მოთხოვნილებისამებრ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადების ჩათვლით.

## 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი იღებს ვალდებულებას:

4.1.1. მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დროულად აუნაზღაუროს მოწოდებული საქონლის ღირებულება.

4.1.2. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შესაძლებელია "შემსყიდველმა" გადაუხადოს წინასწარი გადახდით "მიმწოდებელს" მოსაწოდებელი საქონლის ღირებულება წარმოდგენილი წინასწარი გადახდის დოკუმენტაციის შესაბამისად.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.2.1. მიაწოდოს "შემსყიდველს" ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო და ხარისხიანი საქონელი "შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად.

4.2.2. მიაწოდოს საქონელი "შემსყიდველს" შეთანხმებულ ვადებში.

4.2.3. საქონლის მიწოდება განახორციელოს "შემსყიდველის" მოთხოვნების შესაბამისად 2015 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

## 5. ანგარიშსწორება

5.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება მოხდება **უნაღდო** ანგარიშწორებით.

5.2. მხარეები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს ან შესაბამის დოკუმენტაციას, რაც სავალდებულოა ორივე მხარისათვის და საბოლოო ანგარიშწორებისათვის.

5.3. ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი მომწოდებელს მიღება-ჩაბარების აქტის ან შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან **10** კალენდარული დღის განმავლობაში გადაუხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოწოდებული საქონლის ღირებულებას.

5.4. საქონლის ეტაპობრივად მოწოდების შემთხვევაში ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი "მომწოდებელს" ეტაპობრივად გადაუხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოწოდებული საქონლის ღირებულებას წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ან შესაბამის დოკუმენტაცის მიხედვით.

5.5. მიმწოდებლის მიერ თუ არ იქნება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების შესაბამისი რაოდენობის საქონლის მიწოდება (შემსყიდველი არ მისცემს შესაბამისი რაოდენობის საქონლის შეკვეთას) მაშინ მოხდება ხელშეკრულების ღირებულების ავტომატური შემცირება.

## 6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა